



საია ფიტნესკლუბის საქმეში ჩაერთო

საია ფიტნესკლუბის საქმეში ჩაერთო

საია ბათუმში მდებარე ფიტნესკლუბის - Reformerfitness-ის საქმეში ჩაერთო, რომლის მიმართაც გუშინ გამოძიება დაიწყო. გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 248¹ მუხლის საფუძველზე. საია მიიჩნევს, რომ აღნიშნული მუხლი, რომლის მიხედვითაც მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული აკრძალული ქმედების განმეორებით ჩადენის გამო შესაძლებელია პირს დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, არაკონსტიტუციურია.

სისხლის სამართლის კოდექსის 248¹ მუხლის თანახმად, დანაშაულს წარმოადგენს **ქ** ჯანმრთელობის შესახებ **ქ** საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით დადგენილი იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევა, თუ ეს ქმედება ჩადენილია იმ პირის მიერ, რომელიც ამავე წესების დარღვევისათვის ერთხელ უკვე იყო დაჯარიმებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹⁰ მუხლის საფუძველზე და სახდელდადებულია. თავის მხრივ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹⁰ მუხლი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს **ქ** ჯანმრთელობის შესახებ **ქ** საქართველოს კანონით დადგენილი იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევისათვის.

ამდენად, იმისათვის, რომ პირს სისხლის სამართლის კოდექსის 248¹ მუხლის

